# სამშობლო

პარასკევი

4 დეკემბერი

წელიწადი I.

**ფასი**: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამა-**ტებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 239 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 239

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.


## მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სამშობლო"-ზე

### გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები და ახალი სარედაქციო კოლეგია.

წლიურათ გაზეთი ეღირება 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან.

---

ოთხშაბათს 2 დეკემბერს, აბასთუმანში, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**თინათინ კოკოჩაშვილი.**

უდროოთ დაკარგვას ძვირფასი და საყვარელი თინასას აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებული დედ-მამა ლიუცია იოსების ასული და ვასილ პეტრეს ძე; ძმები: ექ. შალვა მეუღლით; სტუდენტები: გიორგი და არჩილ კოკოჩაშვილები და დეიდა მარიამ იოსების ასული კაუხჩევისა. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1—1

---

ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, აბასთუმანში გადაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

**თინათინ კოკოჩაშვილი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი ძმისწულის—**თინოჩკის** უდროოდ დაკარგვას ბიძა **ლეონ პეტრეს ძე კოკოჩაშვილი** და მეუღლე მისი **სოფიო ფორტუნატის** ასული შვილებითურთ.

---

**პეტრე ივანეს ძე კოკოჩაშვილი** გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უძვირფასესი შვილის შვილი

**თ ი ნ ა ს**

დაკარგვას, რომელიც გადაიცვალა აბასთუმანში, ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ.

---

**ალექსანდრა გიორგის ასული სამუროვისა** გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ნათლულის

**თ ი ნ ა ს** (თინოჩკა)

გარდაცვალებას.

---

ვასილი, კონსტანტინე, ექიმი ვლადიმერი, ანდრია, ნიკოლოზი და დავით ალექსანდრეს ძენი ნემსაძეები, ანა ალექსანდრეს ასული სურგულაძისა; რძლები ფატუ და სოფიო და სიძე დავით სურგულაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 30 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა და მეორის დაუვიწყარი დედა, მესამესი და მეოთხესი დედამთილი ხოლო უკანასკნელის სიდედრი

**კესარია მერაბის ასული ნემსაძისა.**

დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 დეკემბერს, დილის 9 საათზე. ს. დიდი ჯიხაიში ქაშვეთის ეკლესიაში. 2—1—6067

---

კვირას, 6 დეკემბერს, სოფელ ჰოლევში (სად. გელათი) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ანნა იოსების ასულის ჭიჭინაძე—მესხის**

სულის მოსახსენებლათ,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და დაცნობთ მწუხარებაში მყოფნი: განსვენებულის მეუღლე პოდპოლკოვნიკი **იზმაილ სპირიდონის ძე** და შვილები: **თევდორე, სერგი და ზაქარია მესხები.**

წირვა დინიშნულია დილის ათ საათზე. 2—1

---

### ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან ახალი პროგრამა.

## საშინელების წინაშე.

სენსაციური მხატვრული დრამა 3 ნაწილათ. უმთავრეს როლში—ევა ტომსენი. 1 ნაწ. გაზაფხულის მხიარული დღესასწაული. 2 ნაწ. შემოდგომის ელვა ქუხილი. 3 ნაწ. სიკვდილი ცეცხლში.

**ბრძოლა არგონების ტყესა და ფლანდრიაში,**

ბუნებიდან გადმოღებული სურათები. საფრ. მთავარი შტაბის გამოცემა.

**როგორ ატყუებენ ქმრებს.** კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 7 დეკემბრიდან ნაჩვენები იქნება **ახლო ნათესავი სულები.** კინო-რომანი 5 ნაწ.

---

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1915 წ., საზოგადოების თხოვნით,

## კ. ფოცხვერაშვილის საღამო

## კონცერტი

მესამეჯერ განმეორდება ისევ ქალაქის თეატრში.

ბილეთები 3 მანეთიდან 6 შაურამდე. ამ თავითვე იყიდება თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. აფიშები არ გამოვა. ბილეთები არავის დაეგზავნება. საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალ ვაჟისაგან. 3—1

---

## სანერგე ამერიკული ვაზის

## „კოლხური"

**ქუთაისში. კახიანაური, საკუთარი სახლი.**

გვაქვს გასაყიდათ დამზადებული საკუთარ სანერგეში, იმერეთში, 300000 ლერწი **ამერიკული ვაზისა ჰიბრიდი, დამყნილი** და **დაუმყნელი.** საკუთარ ორ სანერგეში საფრანგეთში დამზადებულია არა ნაკლები 800000 ძირისა, რომელიც მსურველს შეუძლია მოითხოვოს რუსეთში, თუ უკეთუ დაკვეთის ცნობას მარტამდი გაგზავნის.

პრეისკურანტი და ახსნა-დარიგება მყიდველებს უფასოთ დაეთმობა. 10—1

---

### კბილის ექიმი

**მ. მგელაძე—გალიცკისა**

დებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

---

**გაბრიელ იოსების ძე**

### ექიმი გოკიელის

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

---

### ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

### კბილის ექიმი **რ. პ. ხვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

---

**მასაჟით სამკურნალო**

### კაბინეთი

**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

---

### ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა

ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. **№ 3.** თ.

---

### ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი,

ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

---

### ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათ-

მყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში, (თ.)

# ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

## ჟევგელი ბულგარლებმა დაიკავეს.

—

საბერძნეთის მთავრობამ დააკმაყოფილა მოკავშირეთა ყველა მოთხოვნილება. მეფე კონსტანტინემ მოკავშირენი უზრუნველყო მოკავშირეთა და საბერძნეთის ჯარის შორის უთანხმოებისაგან.

—

„დეილ მეილ“-ის კორესპონდენტის ცნობით, დასავლეთ ფრონტზე გერმანელების თაოსნობით მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა ახალ წლის პირველ დღეებში, როგორც კი ყინვისაგან შეკრული გზები გაიხსნებაო.

—

„ნოვ. ვრემ“. იტყობინება: პარიზიდან ცნობაა, რომ ბალკანეთის ფრონტზე მარცხენა ფრთამ უკან დაიხია, ხოლო ცენტრი ისევ თავის ადგილზე დარჩაო. მოკავშირეთა მთელი ჯარი საბერძნეთის საზღვრის გასწვრივ დაბანაკდა.

### გერმანეთი და ზავის პირობები.

ამერიკის გაზეთის ცნობით, გერმანეთს ზავის ახალი პირობები შეუმუშავებია. იგი მოითხოვს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე სრულს ბატონობას, რომ მცირე აზიის გზა მუდამ ხსნილი და უზრუნველყოფილი ჰქონდეს და არ ეშინოდეს ინგლისის ბატონობისა ზღვაზე. გერმანეთი მოითხოვს, რომ მის და რუსეთ შორის აღიმართოს სახელმწიფოები—ბუფერები. დასავლეთით იგი თანახმაა აღადგინოს ძველი საზღვრები, ბელგეთს—სრული თავისუფლება დაუბრუნოს. გერმანეთი იმის თანახმაც არის თურმე, რომ საფრანგეთს დაუბრუნოს ელზას ლოტარინგიის ის ადგილები, სადაც ფრანგული ენაა ხმარებაშიო.

### რუსეთ-სპარსეთის ომის პირველი ნაბიჯი.

სპარსეთში რუსეთის გავლენით არსებობს სპარსელებისაგან შემდგარი კაზაკთა ჯარი. ეს ჯარი რუსეთმა შეაიარაღა და იანვრიდან ჯამაგირსაც რუსეთის ხაზინა აძლევს. ინგლისელების გავლენით კი სპარსეთში არსებობს ჟანდარმერია, შვეციელ აფიცერთა ხელმძღვანელობით. სპარსეთში რომ მოძრაობა დაიწყო ჟანდარმერია ოსმალ-გერმანელთ მიემხრო. 9 გიორგობისთვეს ქამადანში ჟანდარმერია დაეცა ამ კაზაკთ რაზმს, რომელიც 320 კაცისაგან შესდგებოდა, სულ ადვილად დაამარცხა და იარაღი აჰყარა. ჟანდარმერიას ხელმძღვანელობდა შვეციელი მაიორი ჩელსტრემი. მათ დავლათ დარჩათ, თოფებს გარდა, ერთი სამთო ზარბაზანი და მფრქვეველი. კაზაკების მეორე ნაწილი, 130 კაცი, უფროს მუშტეხიდ მაჰომედის ცხე-დარბაზს შეეხიზნა, იარაღი აიყარა და გერმანეთის ფინანსთა მინისტრის აგენტს ჩააბარა. საგულისხმოა, რომ კაზაკები თითქმის უბრძოლველად, მედგარი წინააღმდეგობის გაუწევლად, დანებდნენ, თუმცა შეიარაღებით გაცილებით სჯობდნენ.

### პრინცი რეისი.

სპარსეთის მოძრაობის სულის ჩამდგმელი პრინცი რეისია. მას ემსახურებიან შვეციელი აფიცრებიც და ჟანდარმერია. მაიორ ჩელსტრემის გარდა, ქამადანში მივიდა კიდევ 6 შვეციელი აფიცერი 3000 ჟანდარმით. ამათ გარდა არიან შვეციელი სხვა აფიცრებიც, რომელთაც 5500 ჟანდარმი და 2000 პოლიციელი ჰყავთ. ესენიც მალე შეუერთდებიან მეამბოხეთ.

### თეირანში.

ოსმალეთის დესპანი ასსიმ-ბეი და ავსტ.-უნგრეთის ელჩი გრაფი ლოგოტეტი თეირანს დაბრუნდნენ. პრინცი რეისი სულთან-აბადში დარჩა რუსეთის ჯარზე „გამარჯვების მოსაწყობად“.

—

(დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე).

## ქუთაისი, 4 დეკემბერი.

იშვიათათ თუ მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც თვის ისტორიულ განვითარებაში საქართველოსოდენი შავი და საბედისწერო დღენი განეცადოს.

როდესაც ჩვენ მრავალ საუკუნის მატიანეს გადაავლებთ თვალს აქა იქ თუ შევ ჩნევთ ერისთვის ტკბილსა და ნათელს დღეს... განცვიფრდებით: რამ შეანარჩუნა, თუნდაც დაახიჩრებული, და შეცვლილი ეროვნული სხეული, ამ ბედისგან განწირულ ერს?...

რამდენჯერ დაკარგა მან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა—ეს ქვაკუთხედი და ძლიერი ბურჯი ეროვნული ცხოვრებისა. რამდენჯერ დაკარგა, თითქოს სამუდამოთ,—ქართველი ერის საუკეთესო ნაწილმა თავისი ენა, ზნე და ჩვეულება?... რამდენჯერ თითქოს კიდევაც მოახერხეს მისი მტკიცე რჯულის შერყევა და ერთის სარწმუნოებით გაერთიანებულ საქართველოს დაქსაქსვა, დანაწილება... ბედშავი საქართველოს მოსასპობათ თითქო თვით განგება იყო ამხედრებული...

საქართველო კი მაინც სცოცხლობდა, სცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს...

ჩვენი ერის ნული აწმყო, დიახ, მძიმე და აუტანელია, ჩვენი ეროვნული არსი დასუსტებული დაუძლურებულია...

მაგრამ ჩვენს ქვეყანას ხშირათ სწვევია ასეთი და უმძიმესი უბედურობაც.

თუ ხანგრძლივი მონობის უღელი შესძლებდა ქართველი ერის ერთს ნაწილში ეროვნული სულის ჩაქრობას და აქცევდა მათ ნამდვილ მონათ, მონათ უიმედოთ...

სამაგიეროთ, ერის მეორე ნაწილში,—ხშირათ ძლიერ მცირე ნაწილში,—ეროვნული დამცირების გაძლიერებასთან ერთათ ეროვნული იმედები, მამულიშვილური სიამაყე და თავისუფლების ტრფიალი თანდათან ვითარდებოდა, იპყრობდა მთელ მის არსებას.

ხშირათ მცირერიცხოვან მამულიშვილთა თავგანწირულებას უხსნია საქართველო დაღუპვისაგან.

მძიმეა აწმყოც ჩვენი ქვეყნისთვის. განვლილმა საუკუნემ არ გაამართლა ჩვენი წინაპრების იმედები და არ ააყვავა ჩვენი ცხოვრება...

ჩვენი ერის დიდი ნაწილი შეურიგდა ხვედრს და მასში ეროვნული სული თითქოს ჩაქრა. ჩვენს ცხოვრებაში ფეხი აქვს მოკიდებული ისეთს მიმართულებას რომელიც ეროვნულ ნიადაგს არ ემყარებიან და ეროვნული მისწრაფებით არ ხელმძღვანელობენ...

მაგრამ ქართველ ერს კიდევ შერჩა საკმაო სულიერი სიძლიერე, რომ ყოველივე ეს სძლიოს და დაკარგული ეროვნული სახე აღადგინოს.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

რადგანაც წარსულ კვირას ბალახვანის „შოთა რუსთაველის“ სახელობის სამკითხველოს წევრთა კრება საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო არ შედგა, ამიტომ ხელმეორე კრება მოხდება კვირას, 6 დეკემბერს. კრება კანონიერი იქნება იმ შემთხვევაშიაც კი რამდენიც წევრი უნდა დაესწროს.

✦ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, და შოთაძის ასული, რომლებიც ირიცხებოდნენ ქუთაისის დრამატიულ დასში ამ ჟამათ მიიწვიეს ბაქოში იქაურ დასში მონაწილეობის მისაღებათ. ზარდალიშვილი მიწვეულია რეჟისორათ.

✦ 8 დეკემბერს ქუთაისის ქართულ თეატრში სტუდენტების მიერ საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

✦ გუშინწინ ქუთაისის ქართულ თეატრში რუსულმა დასმა „ლეტუჩაია მიშმა“ წარმოდგენა გამართა. საზოგადოება ბევრი დაესწრო.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს კერძო თათბირზე დაადგინეს: დააჩქარონ ქალაქის გამგეობის მეორე წევრის ამორჩევა და ჯამაგირი მიეცეს 3000 მ. წლიურათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ბ-მა პოტულოვმა ნება დართო ქუთაისის მცხოვრებს ივანე ლუკას ძე მახვილაძეს გამოსცეს ქუთაისში ქართულ ენაზე ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ჩვენი მეგობარი“.

✦ ამ დღეებში მოხდება საფიხ. დავ. კლდიაშვილის სახელობის წევრთა კერძო თათბირი სამკითხველოს საშუალების გასაძლიერებლათ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა ფულის დარიგება ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომიულმა ორგანიზაციამ მოწერილობა დაუგზავნა ყველა სარაიონო ორგანოებს, რაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინონ გეგმა იმ საცდელი მინდვრებისა, სადაც ისინი უკვე შეეკვრენ მეპატრონეებს კანტრაკტით.

✦ ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის მშობელთა წრის მდივნის კ. პ. დანილევსკის მოვალეობა დროებით დაეკისრა მასწავლებელ ბ-ნ ფერაძეს.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო ორგანიზაციის ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა სოფლიდან გლეხებმა თხოვნით მიმართეს, რომ მას დახმარება აღმოეჩინა მომავალი წლისათვის შაბიამნის შეძენაში.

საერობო ორგანიზაციამ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ აცნობა, მიმართონ „მევენახეობისა და მებაღეობის“ კომიტეტს.

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მშობელთა წრემ 1 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: ა) დაუგზავნოს მოწაფეთა მშობლებს ფურცელი, რომ მატერიალურათ დაეხმარონ წრეს. ბ) შეიტანონ ულარიბეს მოწაფის სწავლის გადასახადი 15—30 მანეთამდი გ) აირჩიეს ქუთაისის მშობელთა ცენტრალურ ბიუროს კომისიის სხდომაზე დასასწრებლათ ბ-ნნი სობრიევსკი, პურადიშვილი და კაპანაძე დ) დეპეშით სთხოვონ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ 27 დეკემბერს ამავე გიმნაზიაში გამართონ ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომლის შემოსავალიც გადაიდება ამავე გიმნაზიის ულარ-ბეს მოწაფეთა სწავლის ფულის შესატანათ.

✦ 2 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, ქუთაისის სათავად აზნაურო საკრებულოში მოხდა კრება საერობო კომისიისა, რომელიც ამორჩეული იყო ქ. თ. აზ. წინამძღოლის მიერ მოწვეულ კრებაზედ კვირას 30 ნოემბერს. კომისია შეუდგა მუშაობას.

### სოფლათ

— 24 ნოემბერს [illegible] (სენ. მაზ.) მცხოვრებთ [illegible] და მ. თოფურიას [illegible] ტურიამ ხანჯლით დასჭრა თოფურია. დამნაშავე დააკავეს.

— 22 ნოემბერს ახალქალაში (ლეჩხუმის მაზრა) ორბელის კოოპერატიული დუქანი გატეხა დომენტი მ. მახარაძემ, მაგრამ ეს დარაჯმა გაიგო და რევოლვერით მოკლა ქურდი. მას აღმოაჩნდა ამ დუქნიდან წაღებული ბევრი საქონელი.

— ს. აბაშის (სენ. მაზ.) მცხოვრებს მ. პ. კანდელაკს შანტაჟისტებმა მოსთხოვეს 5000 მ. გამოძიება სწარმოებს.

— ს. ნაქალაქევს (სენ. მაზრა), 27 ნოემბერს, დილით დაუხვდენ მგზავრთ ავაზაკები: ა. ადამია, დ. შურგაია, კ. მხეიძე და ჩ. ხუჩულავა და გაძარცვეს თედორე როგავა.

# ქართული პრესა.

„მეგობარი“ „ზვირთს“ გამოესარჩლა. ცხადია, „მეგობარი“ ამ კამათში იმედს ამყარებს მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის გულუბრყვილობაზე.

ჩვენ ვსწერდით:

—ფედერალისტობა ჩვენი გადაგვარებული და დაუძლურებული პოლიტიკური აზროვნების ნიადაგზე ამოცენებული ყვავილია. ის ვერ გაიფურჩქნება იქ, სადაც ეროვნული ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობს, სადაც ეროვნული მაჯის ცემა და სულისკვეთება საღი და ნორმალურია. აბა ევროპაში, რომელ სახელმწიფოში ნახავთ თქვენ ისეთ მიმართულებას, რომელიც **დამოუკიდებელ** სახელმწიფოს პრინციპს ებრძოდეს, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტის „შებღალვას“ მოითხოვდეს.

ამაზე ,,მეგობარი გვიპასუხებს:

„ნუ იტყვით, თურმე ფედერალისტური მიმართულება ევროპაში არ არსებობს. ეს „ზვირთის“ გამოგონება ყოფილა. თურმე ფედერალიზმი არსებობს იქ, სადაც პოლიტიკურად სახელმწიფო განუვითარებელია, სადაც კი განვითარებულია იქ არა. აქედან: რუსეთში „ფედერალიზმი“ არ არის განვითარებული, მაშასადამე, იგი პოლიტიკურად წინა სდგას. ოსმალეთში ჭაჭანებაც არაა ფედერალიზმის, მაშასადამე იგი ძლიერ განვითარებულია; ასევე სპარსეთში, ჩინეთში და სხვა დღემდი ჩამორჩენილად რომ ითვლებოდა იმ სახელმწიფოში. სამაგიეროდ შვეიცარია, ამერიკის შტატები, ინგლისი, თვით გერმანია, ავსტრია—ესენი ჩამორჩენილი არიან.

ჯერ ერთი ,,მეგობრის'' მეპრესემ, როდესაც მას ,,ზვირთის''' მანერაზედ თავი არისტოტელათ მოაქვს, უნდა იცოდეს, რომ ,,ფედერალისტური მიმართულება'' და ,,ფედერალიზმი'' სხვა და სხვა ჯურის მცნება. თუ ევროპის პოლიტიკური აზროვნება იცნობს „ფედე-

# ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია.

### სოციალიზმი.

(წერილი მეორე)

იხ. „სამშობლო“ №№, 56, 57, 238.

## II.

სოციალისტების მთელი ძალ-ღონე და ყურადღება მიმართულია ახლანდელ, მართლაც, მრავალ უკულმართობის და ანომალიის მქონე საზოგადოებრივ ცხოვრებისაკენ, ყველას მის წინააღმდეგ ამხედრებენ და ურჩევენ დაუყოვნებლივ იარაღის შეხმას და გამოსვლას მის დასარღვევათ, რათა იხსნან კაცობრიობა აუცილებელი დაღუპვისაგან.

ზოგიერთ სოციალისტის მიერ წარმოდგენილი სურათი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების შესახებ იმდენათ საშინელი და მახინჯი სახის არის, რომ ადამიანს არ შეუძლია ზურგი არ შეაბრუნოს და არ შეაჩვენოს იგი. სოციალისტებს, მართლაც, ძლიერ ეხერხებათ არსებულ სოციალურ ცხოვრების ხატვა ადამიანის სულის და გულის ამღვრევ და აღმაშფოთებელ ფერადებით; მაგრამ, როცა ამ წმინდა უარყოფითი მუშაობის შემდეგ ცდილობენ მოგვცენ მომავალი იდეალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველი და საზოგადო სურათი, მეტათ სუსტნი და საბრალონი არიან. რასაკვირველია, ადვილი საქმე როდი გახლავთ ნათლად და სრული სისწორით წარმოდგენა იმისა, თუ როგორი ფორმისა და შინაარსის იქნება ნანატრი წეს-წყობილების სოციალ-პოლიტიკური სტრუკტურა; მაგრამ დეტალებს რომ თავი დავანებოთ, საჭიროა გარკვეული შეხედულება და საღი აზრი მაინც გვქონდეთ ამ ახალი ცხოვრების მთავარ საფუძლისა და მის მართვა-გამგეობის საერთო ხასიათის შესახებ. სოციალისტური ურთიერთობა ხომ ძირიანათ განსხვავდება ადრინდელ საზოგადოებრივ წყობილებისაგან; უეჭველათ საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რომელ სხვა ახალ ძალას და ფაქტორებს ძალუძს გაუწიოს კაცობრიობას კერძო საკუთრებითა და მეტათ ხანგრძლივი ისტორიული ვითარებით შექმნილ თავისუფლების მაგიერობა? ამ კითხვაზე ჩვენ ვერ ვღებულობთ ვერცერთ ჭკუა-დამჯდარ სოციალისტისაგან საფუძლიან და დამარწმუნებელ პასუხს; თავი და თავი საქმე, მათი შეხედულებით, დღევანდელი უვარგისი, დრომოჭმული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობა არის, ხოლო რაც შეეხება მის სამაგიერო წეს-წყობილების შენობას, ამაზე ეხლა გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება და არც არის საჭირო შევუდგეთ ეხლავე მომავალ საზოგადოერივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის და მის აგებულების შესახებ მსჯელობას. ჯერ დავამსხვრიოთ ახლანდელი საზოგადოების შემბოჭველი ბორკილები და შემდეგ ახალი ცხოვრების მოწყობაზე ვიფიქროთო. მაგრამ, რადგან ამნაირი პასუხი არავის აკმაყოფილებს და ადამიანის გონება მაინც დაჟინებით მოითხოვს გარკვეულ წარმოდგენას ამ უცხო საზოგადოების მართვა-გამგეობის შესახებ, სოციალისტები იძულებული არიან გამოსთქვან თავიანთი მოსაზრებანი.

ზოგიერთი მათგანის შეხედულებით (უმრავლესობის) სოციალიზმი სრულიად ახალი სოციალ ეკონომიური სისტემა როდი არის; იგი განგრძობაა ძველი წესწყობილების ამ უკანასკნელი დამახასიათებელ ზოგიერთ უსწორ-მასწორობის და უსამართლობის აღდენით. საზოგადოების მრავალფეროვან და მეტათ რთულ ცხოვრების მოწესრიგების საქმე ერთს დიდ ორგანოს, სახელმწიფოს, ხელში უნდ დარჩეს, რომლის ფუნქცია ეხლა გაცილებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანი იქნება; ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ წინათ სახელმწიფო უმთავრესათ პოლიტიკური ხასიათის დაწესებულება იყო, ეხლა მისი კომპეტენციის ფარგალი უფრო იზრდება და ფართოვდება. ახლა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მოთხოვნილების გამრიგებელ და დამაკმაყოფილებელ ორგანოთ უნდა გახდეს; იგი თვით ეკონომიურ სფეროშიც იძულებული შეიქნება შეიკრეს სამუშაო ძალთა ასამოძრავებლათ, საზოგადოებისათვის საჭირო და აუცილებელ ეკონომიურ-კულტურულ ღირებულებათა შესაქმნელათ და წესიერების დასამყარებლათ. წინათ თუ პირადი გამორჩენის გულისათვის ყოველი ადამიანი შრომობდა და მარჯვობდა და ამ გზით ქმნიდა ათასგვარ ღირებულობას საკუთარ, თუ საზოგადო საკეთილდღეოთ, თავისი სურვილით, ძალდაუტანებლათ, ეხლა უმთავრეს სოციალურ სტიმულს (პირველი ქონების შეძენა) მოკლებული სოციალისტური საზოგადოება იძულებული გახდება, თავის ორგანოს, სახელმწიფოს საშუალებით მიმართოს ძალდატანებას ეკონომიური ცხოვრების რეგიანათ წარმართვისათვის,—ანარქიის თავიდან ასაცდენათ.

ამნაირი ჩვენი მოსაზრება სასაცილოთაც არ ეყოფა ზოგიერთ, სოციალურ კითხვის ერთი კალმის მოსმით გადამჭრელ სოციალისტ მკვლევარს და გვიპასუხებს: მოითმინეთ, ბატონო ჩემო, თქვენ, გეტყობათ, იმდენათ გატაცებული ხართ ბურჟუაზიული ყაიდის არგუმენტაციებით, იმდენათ გაქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვის სურვილი, რომ განგებ ივიწყებთ ერთ რამეს, ურომლისოთ სოციალიზმის განხორციელებაზე ოცნებაც კი დიდი უაზრობა იქნებოდა, სახელდობრ იმას, რომ ამ სანეტარო წეს-წყობილების დროს, შრომა მეტათ მიმზიდველი და ყველასათვის სასიამოვნო შესასრულებელი იქნება; მასთან როცა ყველა შრომის უნარის მქონე ძალების მობილიზაცია იქნება მოხდენილი, ადამიანისთვის მხოლოთ რამოდენიმე საათის მუშაობით გართობა (ერთი სოციალისტის აზრით 4 საათი და 46 წუთი *) სრულიად საკმარისი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ქონების შესაქმნელათ. მასთან ნურც ის გავიწყდებათ, ბატონო, კაპიტალიზმის აპოლოგეტო,—დაუმატებს ჩვენი მოპიდრაპირე—რომ ტეხნიკური საშუალებანი ცხოვრებისათვის საჭირო საზრდოს მოსაპოვებლათ გამოგონილი ჯერ დღესაც საკმაოთ განვითარებული და გაუმჯობესებული არის და რაც დრო გადის უფრო მომეტებული სისწრაფით ვითარდება და ბასრი ხდება. ასე რომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ ახლო მომავალში ჩვენ ხელთ გვექნება იმისთანა გაუმჯობესებული საწარმოვო იარაღები, რომლის წყალობითაც ცხოვრებისათვის ყველა საჭირო მასალის შოვნა ძლიერ ადვილ საქმეთ გადაიქცევა.

დღევანდელ კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრებაში ხომ ხშირ მოვლენას შეადგენს ეკონომიურ ხასიათის კრიზისები (საქონლის ჭარბობა) რაც იმის მომასწავებელია, რომ განვითარებული ტეხნიკის საშუალებით შესაძლებელია დამზადდეს აუარებელი საქონელი, რომელიც უხმარათ დარჩენილი ტყუილაუბრალოთ ხდება-ფუჭდება და ლპება, იფლანგება კაპიტალისტური გაუმაძღრობისა და სიხარბის გამოისობით, მაშინ, როდესაც ურიცხვი ხალხი უზომო ნივთიერ გაჭირვებაში ჩაცვივნული მშიერმწყურვალი რჩება; ასე რომ საზრდო უთვალავია, ხოლო, ცხოვრების სიდუხჭირის გამო, ხალხს აკრძალული აქვს იმით სარგებლობა; იმდენათ ბოროტი და ხარბი გაუჩენია ბუნებას ადამიანი, რომ იგი მოუხმარებლათ დარჩენილ აუარებელ ქონებას არავის ანებებსო.

ამნაირ მსჯელობას, გვგონებათ, თითქოს მართლაც ადევს სიმართლის იერი, რადგან არც ამ ეკონომიური კრიზისების და მათგან წარმოშობილ საზარელ შედეგების, არც ტეხნიკის თანდათანობითი განვითარების და ამით გამოწვეულ, დიდი უპირატესობის და შეღავათის ადამიანისთვის საარსებო ბრძოლის გაადვილების უარყოფა ყოვლად შეუძლებელია; მხოლოთ საქმე იმაშია, რომ ამ საწარმოვო იარაღის, ტეხნიკის განვითარების ისე გადაჭარბებული და გადამეტებული წარმოდგენა, როგორც ამას ზოგიერთი ჩადის, ყოვლად შეუწყნარებელია და მავნებელიც საზოგადოებისათვის; არც ამ განვითარებით გამოწვეულ თანამედროვე ეკონომიური პერტურბაციების, კრიზისების, მიზეზები არ არის სრული სიმართლით განმარტებული.

თითქმის ყველა გამოჩენილი ეკონომისტის მიერ საანბანო ჭეშმარიტებათ არის აღსარებული, რომ ყველაზე უფრო ნელის და შეუმჩნეველი ნაბიჯით იმ ტეხნიკურ საშუალებათა განვითარება ხდება, რომლის მთავარი დანიშნულებაა ადამიანის შრომის გაადვილება უპირველეს და უსაჭიროეს საცხოვრებელ საგნების მოსაპოვებლათ, როგორიცაა, მაგალითად, სამეურნეო, სააგრონომიო, ან სამიწადმოქმედო იარაღების განვითარება, საამშენებლო ან ბინის ასაგებათ სახმარ საშუა-

*) Jibe Cours d'économie politique გვ. 342.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა ფელეტონი.

**ჩემ თასს.**

ახ, მეზურნე დაჰკარ დაფდაფს, მერიქიფევ, ჩქარა ღვინო,
ჰა, გაავსე, ძმავ ეგ თასი, დღეს მეც მინდა მოვილხინო.

შორს, შორს ჩემგან კაეშნიან ფიქრთა გროვავ, დამეხსენი,
ნუ, ნუ მიხმობ, ნუ მიწამლავ შვების წუთებს... არ ვარ შენი...
დღეს მსურს ჩემი განვლილ დღეთა ტანჯვის წამნი დავივიწყო,
რაც მიყვარდა—ის არ მიყვარს... მსურს აწ სულ სხვა გზით სვლა ვიწყო...
ჩემო სევდავ, ტანჯულ სულის ნანდაურო, შენც დამტოვე,
გთხოვ: გამშორდი, და მაჩუქე ნორჩს, ყრმას, ჭაბუკს სიმარტოვე!..
სულო ჩემო, კმარა, გეყო ეგზომ ტანჯვის ცრემლთა თოვა,
კმარა კვნესა, ოხვრა, ვიში, კმარა მოთქმა, კმარა გლოვა.
სულ ერთია, ვერ აღადგენ დაკარგულად, რასაც თვლიდი;
გულო ჩემო, შენც იყუჩე, ნუღარ შფოთავ, სუ, დამშვიდდი;
თუ გსურს, გულო, შვება-ლხენა შეიყვარე ეს სარდაფი,
შეხე, ეგერ ხის ღრმა თასში ვით შუშხუნებს ღვინის ქაფი,
ან, ხომ გესმის ტკბილ ზურნის ხმა, ტკბილ ჰანგებად რომ იმსხვრევა,
და მაგ ხმაზე, შეხე, ქალის ლერწმის ღერო ვით ირხევა.
ღმერთო ჩემო, რა სჯობს ღვინოს, ან ზურნის ხმას რა სჯობს ნეტა,
როს დუდუკზე ლეკურს უვლის კოხტა ქალი ტან-წერწეტა!?.

მაშ მეზურნევ, დაჰკარ დაფდაფს, მერიქიფევ, ჩქარა ღვინო,
ჰა, გაავსე, ძმავ, ეგ თასი დღეს მეც მინდა მოვილხინო.

მ. ანაშვილი.

---

„რალიზმს", როგორც სახელმწიფოებრივ წესწყობილებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ფორმას, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ევროპაში ფედერალისტური მიმართულებები ომამდინაც ძლიერი იყო და ომის შემდეგ ხომ უფრო და უფრო გაძლიერდება, რასაც „ზვირთი" სწერს და „მეგობარიც"! იზიარებს. და ჩვენ რომ ვსწერთ, „ფედერალისტური მიმართულება" (როგორც პოლიტიკური მიმართულება) ჩვენს გადაგვარებულ და დაუძლურებულ პოლიტიკურ აზროვნების ნიადაგზე აღმოცენებული ყვავილიათქო, განა აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ თურმე ფედერალიზმი (ფედერალისტური მიმართულება „მეგობრო" თორემ „ფედერალიზმი" მხოლოთ სახელმწიფოებრივ მეცნიერებაშია) არსებობს იქ, სადაც პოლიტიკურად სახელმწიფო განუვითარებელია. „მეგობრის" მეპრესეს ისიც კი არ სცოდნია, რომ საქართველოში **პოლიტიკურათ განუვითარებელი სახელმწიფოც კი არ არსებობს.**

ნუ თუ მხოლოთ ასეთი არკუმენტებით აკმაყოფილებს „მეგობარი" მკითხველებს, როდესაც მას სურს მათ დაუმტკიცოს, რომ „სამშობლო" ცრუობს, თორემ ევროპის სახელმწიფოების ცხოვრებაში ფედერალისტური მიმართულება ჰქუხს და მძვინვარებსო.

არ იკითხავს „მეგობრის" მკითხველი, კარგი და პატიოსანი, თუ ინგლისში საფრანგეთში, გერმანეთში, გამრავლდა **ფედერალისტური მიმართულებები, რომელნიც საფრანგეთს, ინგლისს, გერმანეთს დამოუკიდებლობის შებღალვას და „ზვირთის" მიერ „გამოთავთავებულ" კავშირში შედენას უქადიან,** რათ არ დაასახელებს „მეგობარი" ამ მიმართულებებს, რომ მით „სამშობლოს" ხმა ჩააკმედიოს. აბა, ბ. „მეგობრის" მეპრესევ, გაიგეთ თქვენი მკითხველის სულისკვეთება და გახსენით თქვენი პოლიტიკური აზროვნების სალარო.

## სამკადიანო საქართველო.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას წილად ჰხვდა იშვიათი ბედნიერება, პირველს შეედგა ფეხი ომისაგან აოხრებულ სამკადიანო საქართველოში და ზნეობრივ ნუგეშთან ერთად პირველი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს განაწამებ შვილებისთვის. მას აქეთ ხსენებული საზოგადოება თვის გულისყურს განუწყვეტლივ სთავაზობს ამ ძვირფას მხარეს და შეძლების ფარგალში ფრიად და მოამაგედ ევლინება.

ამავე საზოგადოებას წილად ერგო განათლების პირველი შუქი შეენათებინა მაჰმადიან მოძმეთა შორის და პირველი ქართული სკოლები გაემართა იქ, სადაც მთელი სამი საუკუნეა, რაც გაუქმებულია ქართული წერა-კითხვა და ანბანი. ქართ. საქველ საზოგადოებას დღეს ამ საქმისთვის ერთდროულ ხარჯის გასაწევად 16 ათასი მანეთი აქვს, ხოლო ყოველთვიურ ხარჯის დასაფარავად 8,000 მანეთი. ეს თანხა საკმარისია განზრახული ოთხი სკოლის გასამართავად და შესანახად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქარ. საქ. საზოგადოება დიდი სიფრთხილით შეუდგება იმ ძნელ მისიის განხორციელებას, რომელიც გარემოებამ მას დაავალა. ვიდრე რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, საქ. საზოგადოება, კარგს იზამს მოუწოდებდეს გამოცდილ ქართველ პედაგოგებს და იმ თითო-ოროლა ქართველს, ვინც გაცნობილია სამაჰმადიანო საქართველოს აწინდელ ვითარებასთან. ასეთ მცოდნე და კომპეტენტურ პირთა წრემ უნდა გამოარკვიოს, თუ რა ტიპის სკოლა უფრო გამოსადეგი და მიზან-შეწონილი იქნება ჩვენთვის და შემდეგ საქვ. საზოგადოება შეეცდება ამის პრაქტიკულ განხორციელებას. ასეთი ახალი და რთული საქმის მოსაგვარებლად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა ყველა კეთილი და შეგნებული ქართველისა. „ს."

## რუსული პრესა.

ცნობილ მკვლევარს კავკასიის გლეხთა საკითხისა ბ-ნ ს. ავალიანს გაზეთ „დენში" მოუთავსებია პირველი წერილი, სათაურით: „რას მოელის კავკასია?

იგი სწერს:

„მის იმპერატორებითი უდიდებულესობის მოადგილეს კავკასიაში დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დიდის ზეიმით შეხვდნენ კავკასიაში, მაგრამ დღესასწაულს თანასდევს ხოლმე საქმის დღეები. იწყება ახალი ფართო ასპარეზი სახელმწიფოებრივ მოქმედებისა და მრავალი ერით დასახლებული კავკასია გულის ძგერით აკვირდება იმ მიმართულებას, რომელსაც დაადგება მეფის მოადგილე.

რას მოელის კავკასია? ძალიან ბევრს, თუმცა ელემენტარულს. საიდუმლოებას არარავისათვის წარმოადგენს, თუ რაოდენად გამწვავდა ეროვნული დამოკიდებულება, რა სამწუხარო შედეგს უქადის იგი ამ კუთხეს. არარავისთვის დაფარული არ არის, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ამ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მხოლოდ ერთს ეროვნულ რჯულს ემყარებოდა. ეროვნულ უთანხმოების აცილება და ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა შეუძლებელია,—მეტის-მეტად ღრმად არის დამარხული ამ უთანხმოების ისტორიული ნიადაგი, მაგრამ მისი სიმწვავის დაცხრობა კი შესაძლოა. შესაძლებელია ერთგვარი შეთანხმება; ყოველ შემთხვევაში საჭიროა არა გაღრმავება და ხელოვნურად გართულება იარისა. ვინ უარჰყოფს, რომ ეს საქმე ადვილი არ არის, პირიქით, საქმე მეტად რთულია, რადგანაც ეროვნულ დამოკიდებულების საკითხში ჩახლართულია მრავალ-ნაირი საზოგადოებრივი, ეკონომიური და სხვა კავშირი. დიდი წინდახედულობა, განსაკუთრებული გულისყური და კეთილმყოფელობაა საჭირო, რომ სიწყნარე და მშვიდობა შეიტანონ ამ აფორიაქებულ ცხოვრებაში. ამ წრეში მხოლოდ მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ იქნება შესაძლებელი კულტურული მუშაობა.

კავკასიას ესაჭიროება საერობო თვითმართველობა. აუარებელ, ულეველ ბუნებრივ სიმდიდრით აღსავსე მხარე სილატაკეში, უვიცობაში იხრჩობა, რადგანაც კანცელარიიდან შეუძლებელია ცოცხალი საქმის ხელმძღვანელობა. კავკასიის მკვიდრნი, რომელნიც უყოყმანოდ ისტუმრებენ შვილებს ბრძოლის ველზე, სადაც რუსეთის დიად მერმისისათვის თავსა სწირავენ. მშვიდმა მოსახლეობამ საკმაო ძალა და უნარი გამოიჩინა სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებაში; მას სრულებითაც არა სჭირდება მოხელის მზრუნველობა; იგი მოითხოვს თვითმოქმედებას, თვითმართველობას. ამ ცოტა ხნის წინედ, სახელმწიფოს წირითად კანონთა 87-დე მუხლის ძალით კავკასიაში სოფლის მართვა-გამგეობის რეფორმა მოახდინეს, გრ. ვორონცოვ-დაშკოვი ამ საქმის თაობაზე გუბერნატორების მიმართ დაგზავნილ განკარგულებაში სწერდა,-ეს არის საერობო თვითმართველობის შემზადებელი საშუალებაო.

რა საჭიროა ასეთი პალიატიური ზომები, როდესაც ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს საკითხის დაუყონებლივ გადაჭრას არსებითად.

კავკასია თხოულობს ნაფიც ვექილთა სასამართლოს—ამ ხალხის სინიდისის სასამართლოს. მოხელეთა სასამართლო შეუწყნარებელია, რადგანაც ყველას ერთის საზომით ჰზომავს. კავკასიაში ხომ ძარცვა-გლეჯაა, კერძო საკუთრებისა. ეს იმას კი არ მიეწერება, ვითომც მკვიდრნი პირადებით ავაზაკნი იყვნენ. ხალხი გაუნათლებელია, ლატაკი, მათი გონებრივი საკუთრების საქმე მოუწესრიგებელია, არ არის უზრუნველყოფილი მტკიცე კანონით (ეს ასი წლის მართვა-გამგეობის შემდეგ). მკვიდრთა მიმართ არ არის დამყარებული კეთილი განწყობილება, მას გაუგებარი ენით ელაპარაკებიან, ასეთს პირობებში აღზრდილ ხალხს არ შეუძლიან კანონიერების დაცვა, მის პატივისცემა, მიეცით ამის საშუალება.

ამ კუთხის მრავალმილიონიანი ხალხი უმაღლეს სასწავლებელს თხოულობს, რომლის წყალობითაც ახალგაზრდობა შესძლებს დაფარულ ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენებას.

აუცილებლად საჭიროა აგრეთვე პატივისცემით ეპყრობოდნენ ადგილობრივ ენასა და ადათ-ჩვეულებას. ეროვნულ წმინდათა წმინდის შელახვა არ შეიძლება.

სწორედ 50 წლის წინად გააუქმეს ამიერ-კავკასიაში ბატონ-ყმობა. მაგრამ ამ დიად რეფორმის ბევრი დებულება როდი განახორციელეს ამიერ-კავკასიაში. არ იყო შემოღებული ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა. მხოლოდ 1912 წ. 12 ქრისტეშობისთვის კანონით შესაძლებლად აღიარეს გლეხთა დროებით ვალდებულობის გაუქმება, მთავრობის სესხის შემწეობით, მაგრამ ეს საქმეც ძალიან ზანტად სწარმოებს, ისე, რომ რეფორმის აზრი და მიზანი განუხორციელებელი რჩება.

კავკასიაში ადამიანს თვალში ეცემა მიწის სიმცირე, საიჯარო ფასი გაორკეცებულია, ძველისძველ მიწის დამმუშავებელ ხალხს გასაქანი არა აქვს. ამავე დროს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შავი ზღვის სანაპიროებზე გადმოსახლებულთ აბინავებენ პოლიტიკურის მოსაზრებით.

მსოფლიო ომმა საძირკვლიანად შეარყია კავკასიის მეურნეობა. სოფელს მუშა ხელი გამოაცალა მოხნულ-მოთესილის რაოდენობა შემცირდა და, წელს გაზაფხულზე ბუნებრივმა წყალდიდობამ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ცარიელზე დასვა სოფლის მეურნენი, ქალაქებში, მომხმარებელთა შეუკავშირებლობის გამო, საშინელი სიძვირეა.

საერობო დაწესებულებათა და თვითმართველობის უქონლობით მკვიდრნი არიან მიტოვებულნი. საჭიროა ფართოდ მოწყობა სასურსათო საქმისა და ომში დახეიჩრებულ მეომართა მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

ბევრის მოლოდინშია კავკასია. იგი მოითხოვს ელემენტარულს, აუცილებელს ყოველ იმას, რაც კი შიდა გუბერნიებში დიდი ხანია მინიჭებული აქვთ. კავკასიას უფლება აქვს არამც თუ ითხოვოს, არამედ მოითხოვოს კიდეც თავისი საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების გონიერი მოწესრიგება.

(„დენ.") ს. ავალიანი.

---

ლებათა გაუმჯობესება და სხვა; აქ, ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გადის და არ იქნა ვერ ეღირსენ რაიმე საგრძნობელი ცვლილება მოეხდინათ ამ უსაჭიროეს საწარმოვო იარაღების გაუმჯობესებაში.

სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება დასავლეთ ევროპაში დაუცხრომელი მითქმა-მოთქმა და წუხილი მიწის სიმცირე-სივიწროვით გამოწვეული. ადამიანთა რიცხვს ყოველწლივ მილიონი ახალი სული ემატება და დედა-მიწას სამეურნეო ტეხნიკის ერთობ ნელი გაუმჯობესების გამო არ შეუძლია საკმაო ნაყოფის გამოღება საზოგადოების მთელი საჭიროების სრული დაკმაყოფილებისათვის. ამიტომაა, რომ ამ ბოლო დროს ყველგან, წარმოების მხრივ დიდათ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი ცდილობენ ამ საფრთხეს მიაპყრონ ქვეყნის ყურადღება და დიდის სიფრთხილით და მზრუნველობით ეპყრობიან მიწის ყოველ ნაჭერს.

ზემო ნათქვამიდან ნათლათ სჩანს, რომ თურმე არც ისე ჩინებულათ ყოფილა საქმე მოწყობილი, როგორც ეს ზოგიერთ ოპტიმისტურათ მოაზროვნე სოციოლოგ-ეკონომისტებს ჰგონებიათ; მიუხედავათ იმისა, რომ კაცობრიობის მთელი შემოქმედებითი ძალა და გამოცდილება მიმართულია საზოგადოების აუცილებელ საარსებო მასალის (სმა-ჭამის, სამყოფი ბინის და სხვა) მოსაპოვებლათ შესაძლო საშუალებათა გამონახვისაკენ, მაინც არ იქნა ამ მხრივ მან ვერ განახორციელა სასურველი რეზულტატი, ვერ მოახერხა ადამიანთა უდღრესი და უპირველეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სრული უზრუნველ-ყოფა; ამის მიზეზი საზოგადოებრივი წესწყობილება კი არ არის, არსებულ წარმოების წესს კი არ უნდა ვსდებდეთ ბრალს, არამედ მიზეზი ჩვენი საერთო უღონობა გახლავთ, ჩვენი ჯერ კიდევ ქონდრის კაცობა და უძლურება, მივსწვდეთ იმ ხერხს და საშუალებას, რომლის წყალობით შესაძლებელი იქნება კაცობრიობის უმრავლესობისათვისაც უზრუნველ-ყოფილი არსებობა. თორემ მარტოოდენ წესწყობილების შეცვლით რომ შესაძლებელი იყოს ხალხის ხსნა გაჭირვებისაგან, მისი ნივთიერი კეთილდღეობის სრული უზრუნველყოფა საქმე აქამდე გაჩარხული იქნებოდა! გარეგანი ცვლილების მოხდენით არსებულ სოციალურ ურთიერთობის დარღვევით მარტო კანის გამოცვლით, ცხოვრების შინაარსი, მისი არსებითი მხარე და მიმართულება არ გამოიცვლება. საჭიროა გამუდმებული და შეუწყვეტელი შემოქმედებითი მუშაობა საზოგადოების ყველა წევრის მიერ სხვა და სხვა სფეროებში, რომ ამნაირი შეთანხმებითა, საერთო ძალღონითა და თანამშრომლობით შევქმნათ ღირებულობანი ყველას საბედნიეროთ.

რაც შეეხება კრიზისებს, ე. ი. რომელიმე წარმოების დარგში ზედმეტი, გადაჭარბებული საქონლის მზადებას, გაცილებით უფრო მეტის, ვიდრე ეს საჭიროა განსაზღურ დროს, განსაზღვრული მაზრისათვის და ამ ეკონომიური მოვლენისაგან საზოგადოება და იმის თქმა, რომ აი რამდენი ქონება მოიპოვება საზოგადოებას, ტყულა-უბრალოთ მოუხმარებლათ დარჩენილი, მოდით მაშვრალნო ყოველ კუთხიდან, იგი ყველას გასწვდებათ, ყველას მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო, მიუტევებელი შეცდომაა, პოლიტიკურ ეკონომიის ანბანის არ ცოდნით გამოწვეული. არც ის არის სწორი, როგორც ზოგიერთ ეკონომისტს და მათ შორის როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ენგელსაც ეგონა, ამ მოვლენის (კრიზისი) ხვედრთა სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენა; რაც დრო გადის კრიზისები სულ სხვა და სხვა სახეს ღებულობს და საზოგადოებაც პოულობს საშუალებას დაიჭიროს თავდარიგი და აიცდინოს მათ მიერ გამოწვეული უხერხულობანი წარმოების მოწესრიგებით ცხოვრების საფუძვლის შეუცვლელათ.

კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წესწყობილება, წინაღმდეგ ზოგიერთ ეკონომისტთა შეხედულებისა, მეტათ ელასტიური, მოქნილი, განსაცვიფრებელი შეთვისების უნარის მქონე წეს-წყობილება გამოდგა. ტყუილათ შეეცადნენ ეკონომისტები გამოეკვლიათ კაპიტალიზმის მომავალი სხვაბედი და თავგადასავალი, მისი ზრდა-ვითარების ტენდენციები და აუცილებელი შედეგები; არც დიდებულ ეკონომისტის, მარქსის მიერ აღმოჩენილი გარდუვალი და ულმობელი კანონები კაპიტალისტურ ცხოვრების რევოლიუციის შესახებ გამართლდა.*) მარქსის სიკვდილის შემდეგ იმდენი მოულოდნელი და საგულისხმო ახალი ეკონომიურ მოვლენათა მოწამენი გავხდით, რომ თვით მისი ერთგული მოწაფენი იძულებული გახდენ შეეტანათ არსებითი კორექტივი თვის მასწავლებლის ეკონომიურ-სოციალურ მოძღვრების ზოგიერთ პუნკტში. პირველათ ყოვლისა ახლა აღარავინ ლაპარაკობს კაპიტალისტურ განვითარების გარდუვალ, ობიექტიურ კანონების შესახებ, რომლის ძალითაც მისი აუცილებელი დამხობა უნდა მოხდეს; მათი აზრით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ თვითშეგნებას და მომზადებას გამოიჩენს ამ რეჟიმის მოსპობით დაინტერესებული მუშათა კლასი, რომელიც მარტო საკუთარ ძალ-ღონეზე დაყრდნობილი ვერას გააწყობს, თუ საზოგადოების დანარჩენმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა მას მის ეკონომიურ-პოლიტიკურ მოთხოვნილებაში. აქაც კლასთა ბრძოლის პრინციპი ვერ არის წმინდათ დაცული და ნათლათ არის აღსარებული კლასთა თანამშრომლობის საჭიროება თვით მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენის აზრით, ვისაც სურს საზოგადოების გაღატაკებული ნაწილის, მშრომელი ხალხის, ნამდვილი და გულწრფელი დახმარების გაწევა, უნდა ეცადოს არ ასცდეს რეალურ საშუალებათა გამონახვის გზას. ყველა ვხედავთ, რომ აუარებელი სიმდიდრე არის დაგროვილი ვაჭარ-მრეწველთა და კაპიტალისტთა ხელში და რომელნიც კიდევ იმას ცდილობენ, რომ შეიძინონ, რაც შეიძლება, მეტი ქონება და ავლადიდება. ამნაირი სურვილი, მისწრაფება მეტათ ბუნებრივი და საყოველთაო ყოფილა და არის ადამიანთა ცხოვრებაში; ასე რომ შეძლებულ კლასთა მხრივ ამნაირ ცდა-მეცადინეობის წინააღმდეგ ჩვენ არსებითად არაფერი არ გვეთქმის; ჩვენ გვრწამს, რომ ამნაირ თავგამოდებულ ძიებას და შეუჩერებელ ფაცა-ფუცსა და საქმიანობას, რომელიც ამ კლასს ახასიათებს განუზომელი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა და კიდევაც აქვს კაცობრიობისათვის და დიდათ საზარალოც იქნებოდა, ჩაგვექრო ის შინაგანი ცეცხლი, რომელსაც ძალუძს დიდი საქვეყნო საქმის გაკეთება. ამა ქვეყნის ძლიერნი, რა თქმა უნდა, ადვილათ, გაუჭირვებლათ ვერ მოიპოვებდნენ იმ უპირატესობას, რომელშიაც ეხლა იმყოფებიან; ამისათვის მათ დიდი და უმეტათ ხანგრძლივი შრომა და გარჯა დასჭირდებოდათ.

ა. თოიძე.

*) იხ. ამის შესახებ jde, Cours d'économie politique, ბერშტეინი და კროპოტკინის ნაწერები მარქსიზმის შესახებ.

## ქრონიკა

რუსეთი.

პროგრესისტებმა ეფრემოვმა, რჟევსკიმ, ნოვიკოვმა, ტიტოვმა და სხვ. როძიანკოს განცხადება წარუდგინეს, რომ იგინი მინისტრებთან არსებულ საგანგებო თათბირში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

—

„რუს. სლ". ნიჟნი ნოვგოროდიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ დახურულმა მემარჯვენეთა კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: სახელმწიფო სათათბიროსი და სახელმწ. საბჭოს წევრები, რომელნიც პროგრესიულ ბლოკს ეკუთვნიან, სასამართლოში უნდა გადაეცენ; სამხედრო სამრეწველო კომიტეტები უნდა დაიხურონ; მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს საერობო და ქალაქთა კავშირებს, მათ მიერ ფულის გაფლანგვას და კავშირების მოღვაწეთა დიდ ჯამაგირებს; წარუდგინოს გორემიკინს გრაფ იგნატიევის მოღვაწეობის შესახებ ცნობები; გაუქმდნენ უნივერსიტეტების ავტონომიები; გაუქმდეს იგნატიევის ცირკულიარი ებრაელების მიღების შესახებ. გაუქმდეს მშობელთა კომიტეტები სასწავლებლებში; დარჩეს გადასაყვანი გამოცდები; გაძლიერდეს მეთვალყურეობა სკოლის გარეთ; შემოღებულ იქნას საშუალო სასწავლებლებში სამხედრო დისციპლინა; გამორეკონ ებრაელები რუსულ სასწავლებლებიდან და მიიღონ განათლება თავიანთ სკოლებში; ცნობილ იქნას, რომ ებრაელების ასიმილიაცია შეუძლებელია; ბინადრობის საკითხი ომის შემდეგ აუცილებლივ უნდა გადასწყდეს; გერმანელ კოლონისტებს მიწები ჩამოერთვას და გადაეცეს მეომრებს; სახელმწიფო სათათბირო, თუ იგი რევოლიუციონურ გზას დაადგება, დათხოვნილ იქნას და ახალი არჩევნები დაინიშნოს ომის დასრულების შემდეგ.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 29 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა დღისით. უკანასკნელ ცნობათა მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი არა მომხდარა რა.

**პარიზი.** 30 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში მეტად მკაცრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ბოიენის სამხრეთ-დასავლეთით დავანგრიეთ გერმანელების მიერ აგებული საველე სიმაგრე, ასეთივე სიმაგრე დავანგრიეთ მდ. ენის ნაპირზე, შამპანში მენილის სიმაღლესთან. სენ-მიელთან ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მდ. მაასზე გადებული გერმანელების ხიდი. ეს ერთად ერთი ხიდი წყალდიდობას გადარჩენილი იყო.

**ჰავრი.** 30 ნოემბერი. ბელგიელების ცნობა. ბელგიელების ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად გაიარა. დღეს ჩვენი არტილერია უშენდა მოპირდაპირის ბატარეებს, ჯარის ჯგუფებსა და ბანაკს კეიემის მახლობლად.

**ლონდონი.** 1 დეკემბერი. ინგლისელების მთავარი შტაბი საფრანგეთიდან იუწყება: წინა ღამეს ნალში ავაფეთქეთ და აფეთქებით გაკეთებული თხრილი დავიჭირეთ. დღეს ყუმბარები დავუშინეთ მტრის პოზიციას იპრის აღმოსავლეთით და ფრელინგიენის მახლობლად. აგრეთვე გაუბიცებით ვესროლეთ მტრის ნაღმის მტყორცნელებს. ლა-ბასეს არხის ჩრდილოეთით ბრძოლა ასტყდა, იბრძოდნენ ხელით სასროლ ყუმბარებით და თხრილებში მოთავსებული მორტირების საშუალებით მდ. სომაზე.

**ლონდონი.** 1 დეკემბერი. ლლოიდის ცნობით, ჩაუძირავთ გემი „ოსტერიკი". მეზღვაურნი, გარდა ორი ჩინელისა (დაღუპულნი) და სამი მძიმედ დაჭრილისა, გადურჩენიათ.

**პარიზი.** 30 ნოემბერი. სენატის კომისიაში ბრიანმა ბალკანეთის საქმეები განმარტა და დაადასტურა მოკავშირეთა სრული თანხმობა.

**პარიზი.** 1 დეკემბერი. ოფიციალური ცნობა დღისით. ბრძოლის პირით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

## ბალკანეთის ასპარეზი.

**ათინა.** 30 ნოემბერი. საბერძნეთის მთავრობამ უბრძანა მისი ჯარის მეხუთე კორპუსს დასტოვოს სალონიკი, და დაბანაკებულ იქნება სხვა ადგილას.

**პარიზი.** 30 ნოემბერი. ბალკანეთის ბრძოლის პირი. ფრანგების ჯარმა 29 ნოემბრის ღამით და დილით მოიგერია ბულგარელების ყველა იერიში და კვლავ უკან დახევა იწყო. მიუხედავად მძიმე გზებისა უკან დახევა წესიერად სწარმოებს. ბრძანების თანახმად, უკლებლივ წამოიღეს სამხედრო მასალა. 29 ნოემბერს ფრანგთა ჯარს გევგელ ტილინდირის ხაზი ეჭირა.

**ცეტინე.** 28 ნოემბ. „პრეს ბიურო" იუწყება: დილით ავსტრიელების ორმა ჰაეროპლანმა ქალ. სკადრაში 7 ყუმბარა ჩამოაგდო, ზიანი არ მიუყენებიათ. იმავე დღეს შუადღის შემდეგ ანტივარში მოპირდაპირის ჰაეროპლანებმა 16 ყუმბარა ჩამოაგდეს. ორი ყუმბარა მეფის წულის დანილოს ბაღში ჩავარდა. ერთი ყუმბარა თამბაქოს დუქანს დაეცა, მაგრამ ზიანი ცოტა მიაყენა. კიდევ ორი ყუმბარა დულცინიოში ჩააგდეს, მოკლულია რამდენიმე საქონელი.

**ბუქარესტი.** 30 ნოემბერი. გაზეთები ირწმუნებიან, რომ ავსტრია-გერმანელების სამხედრო წრეების ცნობით სერბიის ოპერაცია დამთავრდა. ავსტრო-გერმანელების ჯარის ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება სერბიაში, მისი უმეტესი ნაწილი კი სერბიიდან გაიყვანეს. სერბიის დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსებულ იქნება ავსტრია-გერმანელების შეერთებული ადმინისტრაცია. რუშჩუკიდან უწყებიან: ავსტრო-გერმანელების სამხედრო გემები (მონიტორები) უდარაჯებენ დუნაის ნაპირებს ბულგარეთში. ბულგარელების გაზეთები კამპანიას დამთავრებულად არ სთვლიან და ირწმუნებიან, ბულგარელების ჯარი საბერძნეთის ტერიტორიითაც განაგრძობს მოკავშირეთა ჯარის დევნას.

**ათინა.** 1 დეკემბერი. მიუხედავად ბულგარელების ავსტრიელებთან და გერმანელებთან ერთად მკაცრი იერიშებისა, ინგლის-საფრანგეთის ჯარმა ბრძოლის პირის შემოკლება მოახერხა საბერძნეთის ტერიტორიაზე. მოპირდაპირის ზარალი 10,000 კაცს უდრის. ინგლისისა და საფრანგეთის ჯარი ახალ მოსაგერიებელ ხაზის გამაგრებას შეუდგა. მოელიან ძლიერი მაშველი ჯარის მოსვლას სალონიკში.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ სამსახურიდან დაითხოვეს ყველა ქრისტიანი მოხელეები.

**სალონიკი.** 1 დეკემბერი. ფრანგების ჯარის დახევა საბერძნეთის ტერიტორიაში მთავრდება. ქალაქი გევგელი გუშინდელს აქეთია იწვის. ინგლისელების ჯარმა მკაცრი ბრძოლის შემდეგ დოირანი დასტოვა. ფრანგებისა და ინგლისელების უკან დახევა წესიერად სწარმოებს, მცირე ზარალით. მოკავშირეთა ჯარი კილინდორ-კარასულის ხაზს ამაგრებს. გუშინ მოვიდა ოთხი ტრანსპორტი ინგლისელების ჯარით და სამხედრო მასალით დატვირთული გემებით. სოლუნში გაგზავნილია ფრანგების ბევრი მძიმე ზარბაზანი. სალონიკის ირგვლივ მოკავშირენი ძლიერ სიმაგრეებს აგებენ. ფრანგებისა და ინგლისელების სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, წინააღმდეგობა ადვილი იქნებაო; სიმაგრეების და სამხედრო გემების დახმარების საშუალებით მოკავშირეთა ჯარი გაუძლებს მოპირდაპირეს, ვიდრე საკმაო მაშველი ჯარი არ მოუვა და შეტევის დაწყება შესაძლებელი არ გახდება.

**კოპენჰაგენი.** 1 დეკემბერი. ავსტრიელების ბეჭდვითი სიტყვის ბიურო აცხადებს, რომ ავსტრიელებს ჩერნოგორიაში პარტიზანულ ომთან აქვთ საქმე და ამასთან ჩერნოგორიის მშვიდობიანი მცხოვრებნი ავსტრიელების წინააღმდეგ უფრო მეტად ამხედრებული არიან, ვიდრე სერბიაში სერბიელები იყვნენ.

## ეგვიპტე.

**კაირო.** 30 ნოემბერი. გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა: 28 ნოემბერს ჩვენი რაზმი დაზვერის დროს წააწყდა ლივიის უდაბნოში მარსამატრის მახლობლად ბედუინების რაზმს, 3000 კაცისაგან შემდგარს, რომელიც ოსმალეთის რეგულიარულ ჯარს ეკუთვნის, ბრძოლის შემდეგ ბედუინებმა დასავლეთით დაიხიეს. მათი ზარალი, 35 მოკლული და 7 დატყვევებული, მათში 16 აფიცერია; დაჭრილია 3 აფიცერი და 15 ჯარის კაცი.

## დარდანელი.

**პარიზი.** 30 ნოემბერი. ოფიცილური. 28 და 29 ნოემბერს ძლიერი სროლა სწარმოებდა.

## მესოპოტამიაში.

**ლონდონი.** 30 ნოემბერი. ოფიციალურად იუწყებიან: ინგლისის ჯარის უფროსი გენერალი ტოუსენდი კუტადან (მესოპოტამიაში) იტყობინება, რომ მოპირდაპირე 25 ნოემბერს მთელის დღის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა ინგლისელების პოზიციას. სროლა 26 ნოემბერსაც სწარმოებდა და შემდეგ მტერმა თითქმის ყოველმხრით იერიში მოიტანა. 27 ნოემბერს ოსმალებმა კვლავ ყუმბარები დაუშინეს კუტს და ჩრდილოეთის მხრით იერიში მოიტანეს, მაგრამ ბრძოლას აკლდა სიმედგრე. 28 ნოემბერს კვლავ ორჯერ იერიში მოიტანეს ჩრდილოეთის მხრით, მაგრამ ინგლისელებმა მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს. მას აქედ ნეჟაპოროში სიწყნარე ჩამოვარდა. არაბები შედარებით კეთილ განწყობილებაში არიან ინგლისელებთან. უკანასკნელნი მაშველ ჯარს მოელიან.

## ამერიკა.

**ლონდონი.** 30 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: ავსტრიის პასუხს ამერიკელების წინადადებაზე „ანკონას" ჩაძირვის შესახებ არა უგვიანეს ერთი კვირისა მოელიან. წინააღმდეგ შემთხვევაში დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი იქნება.

## რუსეთი.

**მოსკოვი.** 30 ნოემბერი. შესდგა პირველი კრება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისა მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელთაც განაცხადეს: მოვალეთ რაცხვენ თავს კომიტეტში მუშაობისათვის, რადგანაც სამშობლოს ხსნა მოითხოვს, მთელმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა მის დაცვაში. მუშათა წარმომადგენლებმა სურვილი განაცხადეს, რათა მოწვეულ იქნას სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობა.

# შემოწირულობანი.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ ქუთაისში არსებობს ერთი მეტად სიმპატიური დაწესებულება: **ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე** საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეთაც არის ელ. ნ. ხეჩინოვისა.

ამ საზოგადოების გამგეობა ყოველ წლის 12 იანვარს მართავს ხოლმე ტრადიციულ—საღამოს და ქუთათურებიც თანაგრძნობით ეკიდებიან. აი, ასეთ საღამოს გასამართავათ გუშინდლიდან გამგეობა უკვე შეუდგა თავდარიგს და დაიწყო შემოწირულობათა შეგროვება. გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი ხეჩინოვისა, მისიამხანაგი საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ტერტეროვი და წევრები დადიან მაღაზიებში და აგროვებენ შემოწირულებათ. ჯერჯერობით შემომწირველნი არიან:

ძმ. გოკიელოვები, 5 მან. ფულით. ძმ. რუხაძე, სახაიე, ტაფა, კრუშკა ღირებულ 2 მ. 50 კ., ცინცაძე და ასათიანი ორი ხილის ვაზა ღირებული 3 მ. 50 კ., სოლომონ ბინიაურიშვილი ვერცხლის რუმკა—2 მ. 50 კ., კალანდარიშვილი, ჩიქოვანი და დავითაია 4 ნაჭერი აბრეშუმის და ერთი ზედატანი ღირებული სულ 12 მ. 38 კ., ძმ. გაგულაშვილები ორი პირსახოცი ღირებულ 2 მ. 80 კ., გვიჩია და ჭავჭანიძე, 2 ალბომი და ყვავილების კალათი ღირ. 7 მ. 20 კ., ბეს. გაბუნია 5 ნაჭერი მატერია ღირებული 5 მ. 95 კ., ილ. მოწონელიძე, რედიკიული, პორტმონე და ქალის სარტყელი 7 მ. 50 კ., ძმ. ჩილინგაროვები, 1 კოლოფი ღირებული 3 მ. 50 კ., განელინი 1 რიუმკა ვერცხლის ღირ. 5 მან. თურქია და გაგუა ранецъ 3 მან. 50 კ., შავერზაშვილი 1 ფლ. ოდეკოლონი, ორი საპნედრე, ჩოთქი 7 მან. ნიკოლოზ ბუაჩიძე რედიკიული 3 მ. 40 კ., ფილიპე ჭელიძე ორი ბოთლი შამპანიური 5 მან. შოთაძე $^1/_4$ გირვ. ჩაი, თითო კოლოფი მარმალადი და მონპასიე, ღირებული 1 მან. 70 კაპ. ტერკი ერთი ჯიბის ელექტრონის ფარანი 3 მან. 50 კ., გრიშა არჯევანიძე $^1/_2$ გირვანქა ჩაი ღირებულ 1 მ. 20 კ., ივანე კაპანაძე, 2 ბოთლი შამპანიური 5 მან.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

წარსულ კვირას, ბ-ნ. ფოცხვერაშვილის მიერ გამართულ სასულიერო კონცერტზე ჩვენ მოვისმინეთ საყვედური, რომ საკათედრო ტაძარშიც კი არ ვარგა ქართული გალობაო, ნება გვიბოძეთ, ბატონო რედაქტორო, შევეკითხოთ რომელი გალობის შესახებ ბრძანებენ და აძაგებენ?!

საკათედრო ტაძარში ორგვარი გუნდია მგალობელთა ერთი ესრეთ წოდებული „ხორო" და მეორე სამ პირი—ანუ სამი კაცისაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი. ნუ თუ ორივენი საძრახისი არიან? ჩვენის აზრით, გასაკიცხი არა არის რა. ვისაც მოუსმენია ს მ პირი გალობა მთავრებისაგან შემდგარი, მერწმუნეთ, რომ დატკბებოდა მოსმენით—იმერული კილოა იგი თუ ქართლ-კახური, მრავალ პირთაგან ქების მეტი არა გაგვიგონია რა. არ შეიძლება ბ.ბ. ითქვას საკათედრო სობოროში ქართული გალობა არ მოიძებნებაო, მიბრძანდით და მოისმინეთ ხსენებული მთავრების მწყობრი გალობა და დამერწმუნეთ, ბრძანებთ: ვისაც გაქვთ ყური სმენათ, ისმინეთ!

**გალობის მოყვარული.**

## ჩვენი ფოსტა.

**ფოთი.** სტეფანე კასრაძეს, გამოგზავნილთ. წყალში თევზი არ დაფასდება

რედ.-გამომც. **ი. თ ციციაძე**

## მატარებლების მიმოსვლა.

### ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. 50 წ. |
| „ | — ღამის | —11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. 39 წ. |

### ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. 55 წ. |
| „ | — ღამის | — 1 ს. 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. — |
| „ | — დილის | — 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 40 წ. |
| „ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 20 წ. |

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ

ჩემი საგალანტერეიო საქონლის [illegible]

(მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის [illegible] ნეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან

**გადავიტანე** იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.

14—6—6042 პატივისცემით **ილ. ტარ. მოწონელიძე.**

ქუთაისის განყოფილება

ამხ.-ბა **„პროვოდნიკი"**.

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

**კალოშები** საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.

**საეტლო შინები** საერთაშორისო მარკები „სლონ" და „სვერხ-სლონ"

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

**„რუსეთი" („როსსია")**,

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

**„სორაპანის" გამოცემა.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქ ა რ თ უ ლ ი

**კედლის კალენდარი 1916 წ.**

შედგენილი გრ. **ჩარკვიანისა** და მ. **გაჩეჩილაძის** მიერ.

**ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა**

შედგენილი **მ. გაჩეჩილაძის** მიერ.

ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: **ტფილისი, სტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს** და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—9

**ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია**

**ალექსანდრე ი. კოსტავასი**

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იყიდება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.